**თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო**

**საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის**

**ადგილების განმსაზღვრელი დროებითი**

**სამუშაო ჯგუფის**

**ოქმი№4**

ქ. თელავი 2018 წლის 21 ივნისი

**თავმჯდომარებდა დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე:** დავით ღაღანიძე

**ესწრებოდნენ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები:** გიგა ორკოდაშვილი, ტიტე დარეჯანიშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, არჩილი თვალიაშვილი.

**აგრეთვე ესწრებოდნენ:** არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თელავი ჩემი ქალაქია''-ს წევრი პეტრე კაკუნაშვილი, ფირმა ,,ნიკა''-ს დირექტორი მგზავრთა ორგანიზებული გადამზიდავი ნიკოლოზ ჭინჭარაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი ნუგზარ ბაჩიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები: ლევანი ლილუაშვილი, მაია მარკოზაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

**დღის წესრიგი**

1. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ.

**მომხს. დ. ღაღანიძე**

**მოისმინეს:** თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** დ. ღაღანიძემ მიმართა სამუშაო ჯგუფის წევრებს, რომ გაეცნენ წარმოდგენილ პროექტს, და შემდგომი სხდომისათვის წარმოადგინონ შენიშვნები და მოსაზრებები.

მან ასევე აღნიშნა, რომ დროებით სამუშაო ჯგუფს ეწურება უფლებამოსილების ვადა, ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნია დროებითი სამუშაო ჯგუფის ვადის გაგრძელება ერთი თვის ვადით. დ. ღაღანიძის მოსაზრებას დაეთანხმნენ სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე წევრები.

**გადაწყვიტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ შენიშვნებით და მოსაზრებებით წარმოდგენილი იქნას სამუშაო ჯგუფის შემდგომ სხდომაზე.

დროებითი სამუშაო
ჯგუფის თავმჯდომარე: დ.ღაღანიძე

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების

განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი

დროებითი სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 21 ივნისის

სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. დავით ღაღანიძე
2. გიგა ორკოდაშვილი
3. ტიტე დარეჯანიშვილი
4. გიორგი ქიზიყელაშვილი
5. გიორგი ჩაბრაშვილი
6. არჩილი თვალიაშვილი
7. გოჩა წაწალაშვილი
8. ზურაბ ნაცარაშვილი